

## სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

20.10. 2016 წელი  
1 ეგზ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამა  
„კულტურის განვითარების ხელშეწყობა“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 55/36  
2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|                                                         |    |
|---------------------------------------------------------|----|
| 1.შემოკლებანი.....                                      | 3  |
| 2. შემაჯამებელი მიმოხილვა .....                         | 3  |
| 3. შესავალი.....                                        | 4  |
| 3.1. აუდიტის შესწავლის საგანი .....                     | 4  |
| 3.2. აუდიტის მასშტაბი .....                             | 5  |
| 4. ძირითადი ტექსტი.....                                 | 5  |
| 4.1. ღონისძიება „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“ .....          | 5  |
| 4.2. ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები .....                 | 14 |
| 4.3. საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი..... | 16 |
| 4.4. მუნიციპალიტეტის ქონების მართვა .....               | 17 |
| 5. შემაჯამებელი დასკვნა .....                           | 18 |
| 6. რეკომენდაცია.....                                    | 20 |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი .....               | 21 |

## 1. შემოკლებანი

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი - მუნიციპალიტეტი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამა „კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამა.
- ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“ - ბათუმის კულტურის ცენტრი;
- ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ - ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა;
- ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

## 2. შემაჯამებელი მიმოხილვა

- ბათუმის კულტურის ცენტრსა და შპს „თბილისის ივენთ ჰოლს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულების პირობების გაუთვალისწინებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად არის გადახდილი 29 177 ლარი; გვ. 5
- ბათუმის ჩოგბურთის კორტების ტერიტორიაზე, ღონისძიებების ჩატარების დროს, დაცვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არამიზნობრივად არის გაწეული 19 200 ლარის ხარჯი; გვ. 6
- ბათუმის კულტურის ცენტრის დროებით სარგებლობაში მყოფ, ბათუმის კორტების ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ღია ბარები (კაფეები) და განთავსებული იყო სარეკლამო ხასიათის ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული საქმიანობით ბათუმის კულტურის ცენტრს შემოსავლები არ მიუღია; გვ. 7
- „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის პროექტის ფარგლებში, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, ბაზრის კვლევის გარეშე, გაფორმებულია 2 641 321 ლარის ღირებულების 55 ერთეული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (გვ. 10);
- ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ გაფორმებული 84 250 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები არ იძლევა გასაწევი მომსახურების შინაარსის სრული იდენტიფიცირების საშუალებას, არ მოიცავს მისაწოდებელ საკონცერტო პროგრამას და მის ხანგრძლივობას; გვ. 11
- ბათუმის კულტურის ცენტრს ჰქონდა შესაძლებლობა ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე დაგეგმილი საკონცერტო ღონისძიებების სცენის მომსახურების სრული თუ არა, მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც განეხორციელებინა საკუთარი რესურსებით და ამ გზით გაეწია ნაკლები საბიუჯეტო ხარჯი; გვ. 12
- ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“ პროექტის ფარგლებში, შესყიდული იქნა ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე სცენის მოწყობის VIP ზონებისათვის გადახურვით, სალაროს ჯიხურის მოწყობისა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფის მომსახურება, რომლის შესყიდვის მიზანშეწონილობა არ არის საკმარისად დასაბუთებული; გვ. 13

- ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, ბილეთების ელექტრონული გაყიდვის მომსახურების შესყიდვაზე, მომსახურების ბაზარზე არსებული ფასების გაუთვალისწინებლად, გადახდილია შესაძლო ღირებულებაზე არანაკლებ 7 650 ლარით მეტი; გვ. 14
- ბათუმის კულტურის ცენტრმა, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გაუთვალისწინებლად, დაკისრებული ჯარიმის თანხის ოდენობა - 6 499 ლარი, არ მიმართა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში; გვ. 15
- ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ ბიუჯეტში არ არის გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი 1800 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის კუთვნილი შემოსულობა ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ აღირიცხა, როგორც საკუთარი შემოსავლები; გვ. 16
- მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზებაზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ვერ იქნება განხილული ისეთ აქტივობად, რომელიც მიმართულია მომსახურების გაწევის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისათვის; გვ. 17
- თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის N59 განკარგულების შეუსრულებლობის გამო, არსებობს საჯარო ფინანსებით შექმნილი ქონების დაკარგვის, დაზიანების, გადამალვის ან/და შემცირების რისკები. გვ. 18

### 3. შესავალი

#### 3.1. აუდიტის შესწავლის საგანი

აუდიტის შესწავლის საგანს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი“ პროგრამა „კულტურის განვითარების ხელშეწყობა“. პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

- ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი;
- ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა;
- ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა;
- შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერა;
- თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა.

ქვეპროგრამები „ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი“ და „თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ხორციელდებოდა უშუალოდ მერიის ადმინისტრაციის მიერ, ხოლო ქვეპროგრამას „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ ახორციელებდა ბათუმის კულტურის ცენტრი, ქვეპროგრამას „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა“ - ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა, ქვეპროგრამას „ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა“ კი - ბათუმის ბოტანიკური ბაღი. „შავი ზღვის ფლორისა

და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულია შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ სუბსიდირება, აგრეთვე მისი კაპიტალის ზრდა.

პროგრამის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 9 771 100 ლარს, ხოლო საკასო შესრულება (გადახდა) – 9 662 818 ლარს, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 98.9%-ია.

### 3.2. აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერიის, ბათუმის კულტურის ცენტრის და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ 2015 წელს განხორციელებული შემდეგი საქმიანობა:

| კოდი     | ქვეპროგრამის დასახელება                                             | დაზუსტებული ბიუჯეტი | გადახდა   | სხვაობა | ბიუჯეტის შესრულების პროცენტი |
|----------|---------------------------------------------------------------------|---------------------|-----------|---------|------------------------------|
| 05 02 02 | ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი                                   | 629,600             | 629,457   | 143     | 100                          |
| 05 02 04 | ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა                     | 6,027,000           | 5,961,299 | 65,701  | 98.9                         |
| 05 02 05 | ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა      | 760,500             | 757,476   | 3,024   | 99.6                         |
| 05 02 07 | შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერა | 1,030,000           | 1,029,946 | 54      | 100                          |
| 05 02 11 | თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა                                 | 130,000             | 126,432   | 3,568   | 97.3                         |

აუდიტი არ მოიცავს ბათუმის ბოტანიკური ბაღის 2015 წლის საქმიანობას, რადგან ბათუმის ბოტანიკური ბაღის 2014-2015 წლების ფინანსური აუდიტი განხორციელებულია ცალკე აუდიტად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ.

## 4. ძირითადი ტექსტი

### 4.1. ღონისძიება „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“

#### 4.1.1. კრიტერიუმი

ბათუმის კულტურის ცენტრსა და შპს „თბილისის ივენთ ჰოლს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების<sup>1</sup> თანახმად, „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის ფარგლებში, მომწოდებლის ვალდებულებას წარმოადგენდა, შესაბამისი მომსახურე პერსონალით, მხოლოდ ფესტივალის უცხოელი მონაწილეების კვება - კონცერტებისა და რეპეტიციების დროს კულისების ქეითერინგით უზრუნველყოფა.

<sup>1</sup> ხელშეკრულება N108, 07/07/2015 წ. (დირეზულება 39 500 ლარი)

## გამოვლენილი გარემოება

ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ფესტივალის მონაწილეების კონცერტების და რეპეტიციების დროს კულისების ქეითერინგით უზრუნველყოფაზე გაწეულია მხოლოდ 7 802 ლარის მომსახურება. დანარჩენი, 29 177 ლარის ღირებულების მომსახურებაზე წარმოდგენილ ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტებზე, კერძოდ წინასწარ ჩეკებზე, რომელთა საფუძველზეც გაფორმდა შემდგომში მიღება-ჩაბარების აქტები, მითითებულია, რომ კვებითი მომსახურება განხორციელდა კლუბ "Take Five"-ში. ჩეკებში დაფიქსირებულია სადილით და ვახშამით გამასპინძლება, რასაც ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა. ამასთან, ხელშეკრულების<sup>2</sup> თანახმად, მომსახურების გაწევის ვადაა 2015 წლის 17 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი, წარმოდგენილი წინასწარი ჩეკების მიხედვით კი 6 076 ლარის მომსახურება გაწეულია მომსახურების მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ, 2015 წლის 1 სექტემბერს. შესაბამისად, დაუდგენელია რა საფუძველზე გაფორმდა მხარეებს შორის 2015 წლის 31 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტი, როდესაც 6 076 ლარის ღირებულების მომსახურებაზე წინასწარი ჩეკი ამობეჭდილია 2015 წლის 1 სექტემბერს. ამასთან, წარმოდგენილი წინასწარი ჩეკებით დგინდება, რომ 2 641 ლარის კვებითი მომსახურება გაწეულია იმ პირებზე, რასაც არ ითვალისწინებდა ხელშეკრულების პირობა.

## დასკვნა

ბათუმის კულტურის ცენტრსა და შპს „ივენთ ჰოლს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულების პირობების გაუთვალისწინებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ ზედმეტად არის გადახდილი 29 177 ლარი.

## რეკომენდაცია

### *ბათუმის კულტურის ცენტრს*

ბათუმის კულტურის ცენტრმა უზრუნველყოს ქმედითი ღონიძიებების განხორციელება ზედმეტად გადახდილი 29 177 ლარის ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებისათვის.

### 4.1.2. კრიტერიუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების<sup>3</sup> საფუძველზე, ბათუმის

<sup>2</sup> ხელშეკრულების 8.1 პუნქტი

<sup>3</sup> ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N46 დადგენილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

კულტურის ცენტრის შპს „ჯეპრასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების<sup>4</sup> ფარგლებში შექმნილი „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის ღონისძიებების კალენდარის მიხედვით, ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო 19 დღის განმავლობაში წარმოდგენების გამართვა. შესაბამისად, ბათუმის კულტურის ცენტრს უნდა განეხორციელებინა 19 დღის განმავლობაში ღონისძიებების დაცვით უზრუნველყოფა.

### გამოვლენილი გარემოება

2015 წლის 7 ივლისს, საქართველოს შსს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსა და ბათუმის კულტურის ცენტრს შორის, „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის ღონისძიებების საპოლიციო ძალებით დაცვის უზრუნველყოფის თაობაზე, გაფორმდა დაცვით მომსახურებაზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება<sup>5</sup>. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 90 000 ლარი და ითვალისწინებდა დაცვის მომსახურების განხორციელებას 2015 წლის 6 ივლისიდან 7 სექტემბრამდე, მათ შორის, ბათუმის ჩოგბურთის კორტების დაცვის მომსახურებას 2015 წლის 14 ივლისიდან 31 აგვისტომდე. მხოლოდ ბათუმის ჩოგბურთის კორტების დაცვის მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 75 600 ლარი. „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის ღონისძიებების კალენდარის მიხედვით, ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო 19 დღის განმავლობაში წარმოდგენების გამართვა, თუმცა, მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის<sup>6</sup> თანახმად, ღონისძიებების ჩატარების დროს, ბათუმის ჩოგბურთის კორტების დაცვის მომსახურება ნაცვლად 19 დღისა, განხორციელებულია 27 დღის განმავლობაში, შესაბამისად, ნაცვლად 45 600 ლარისა, გაწული იქნა 64 800 ლარის ხარჯი.

### დასკვნა

ბათუმის ჩოგბურთის კორტების ტერიტორიაზე, ღონისძიებების ჩატარების დროს, დაცვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არამიზნობრივად არის გაწეული 19 200 ლარის ხარჯი.

### რეკომენდაცია

#### ბათუმის კულტურის ცენტრს

უზრუნველყოფილი იქნეს ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ხარჯვა მხოლოდ ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების მიზნებისთვის.

<sup>4</sup> ხელშეკრულება N90, 26/06/2015 წ.

<sup>5</sup> ხელშეკრულება N103, 07/07/2015 წ.

<sup>6</sup> მიღება-ჩაბარების აქტი 07/09/2015 წ.

### 4.1.3. კრიტერიუმი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის <sup>7</sup> თანახმად, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა.

### გამოვლენილი გარემოება

„ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის პროექტის ფარგლებში, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ იჯარით სარგებლობაში იქნა აღებული ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ხუთი კორტი და 4 გასახდელი (სტანდარტული სასტუმრო ნომერი) <sup>8</sup>. სახელმწიფო შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 100 000 ლარი.

მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბათუმის კულტურის ცენტრის დროებით სარგებლობაში მყოფ, ბათუმის კორტების ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ღია ბარები (კაფეები) და განთავსებული იყო სარეკლამო ხასიათის ინფორმაცია. ბათუმის კულტურის ცენტრის უფლებამოსილი პირის განმარტებით, კორტების ტერიტორიაზე და მასში მიმდინარე პროცესებზე (მათ შორის, ტერიტორიაზე სარეკლამო ბანერების განთავსება და კაფე-ბარების ფუნქციონირება) კონტროლს ახორციელებდა სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი“, რომელთაც, ინფორმაციის დადასტურების მიზნით, გაეგზავნათ შესაბამისი შეკითხვა. ფონდის დირექტორის წერილის<sup>9</sup> თანახმად, სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი“, „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის პროექტის ფარგლებში, უზრუნველყოფდა მხოლოდ უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობას. ზემოაღნიშნულის გამო, ვერ იქნა მოპოვებული სათანადო რწმუნება თუ ვის მიერ ხორციელდებოდა ეფექტური კონტროლი ბათუმის კულტურის ცენტრის დროებით სარგებლობაში მყოფ ტერიტორიაზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსებისა და ღია ბარების (კაფეების) ფუნქციონირების ნაწილში. ამასთან, აღნიშნული საქმიანობით ბათუმის კულტურის ცენტრს შემოსავლები არ მიუღია.

### დასკვნა

„ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის პროექტის ფარგლებში, ბათუმის კულტურის ცენტრის დროებით სარგებლობაში მყოფ, ბათუმის კორტების ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ღია ბარები (კაფეები) და განთავსებული იყო სარეკლამო ხასიათის ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული საქმიანობით ბათუმის კულტურის ცენტრს შემოსავლები არ მიუღია.

<sup>7</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის პირველი ნაწილი

<sup>8</sup> ხელშეკრულება N116, 13/07/2015 წ.

<sup>9</sup> სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის“ წერილი N201, 30/08/2016 წ.

## რეკომენდაცია

### ბათუმის კულტურის ცენტრს

დამატებითი შემოსავლების მიღების უზრუნველსაყოფად, ბათუმის კულტურის ცენტრმა გაატაროს ყველა კანონით ნებადართული, ორგანიზაციის მიზნების შესაბამისი აქტივობა.

#### 4.1.4. კრიტერიუმი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის <sup>10</sup> თანახმად, შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები.

#### გამოვლენილი გარემოება

„ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის ფარგლებში, ღონისძიების მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 223 313 ლარი. პროექტის ფარგლებში, სულ გაფორმდა 3 388 871 ლარის ღირებულების 57 ერთეული ხელშეკრულება. ბათუმის კულტურის ცენტრის ცნობით <sup>11</sup> დგინდება, რომ პროექტის ფარგლებში ბაზრის კვლევა, გარდა „ქუჩის თეატრის დღეების“ ორგანიზებისა <sup>12</sup> და Adrian Belew Power Trio-ს ჩამოყვანის მომსახურების <sup>13</sup> სახელმწიფო შესყიდვისა, არ განხორციელებულა. ამასთან, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი ფასის განსაზღვრის საფუძვლები და კრიტერიუმები. ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის განმარტებიდან ირკვევა, რომ ყველა აქტივობები და მასთან დაკავშირებული საკითხები შეთანხმებული იყო და კოორდინაცია ხორციელდებოდა უშუალოდ სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის“ მიერ. ინფორმაციის დადასტურების მიზნით, შეკითხვა - სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი“ მონაწილეობდა თუ არა ქართველი შემსრულებლების შერჩევასა და შესაბამისად, მათი მომსახურების საფასურის განსაზღვრაში, გაეგზავნა სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდს“. ფონდის დირექტორის წერილის <sup>14</sup> თანახმად, სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი“, „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის პროექტის ფარგლებში, უზრუნველყოფდა მხოლოდ უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობას.

<sup>10</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

<sup>11</sup> ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ცნობა N299/01-05, 12/09/2016 წ.

<sup>12</sup> ხელშეკრულება N144, 27/07/2015 წ. (ხელშეკრულების ღირებულება 375 409 ლარი, გადახდა 361 908 ლარი)

<sup>13</sup> ხელშეკრულება N109, 07/07/2015 წ. (ხელშეკრულების ღირებულება 230 000 ლარი, გადახდა 220 084 ლარი)

<sup>14</sup> სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის“ წერილი N201, 30/08/2016 წ.

## დასკვნა

„ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის პროექტის ფარგლებში, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, ბაზრის კვლევის გარეშე, გაფორმებულია 2 641 321 ლარის ღირებულების 55 ერთეული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

## რეკომენდაცია

### ბათუმის კულტურის ცენტრს

შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები.

### 4.1.5. კრიტერიუმი

სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის<sup>15</sup> უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის დასახელებას, საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას<sup>16</sup>.

### გამოვლენილი გარემოება

2015 წლის განმავლობაში, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ შესყიდულია სხვადასხვა სახის გასართობი მომსახურებები<sup>17</sup>, ქართველი შემსრულებლების მონაწილეობით. მათ შორის, 84 250 ლარის ღირებულების გასართობი მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები არ მოიცავს გასაწევი მომსახურების შინაარსს<sup>18</sup>, აგრეთვე, საკონცერტო პროგრამას და ხანგრძლივობას<sup>19</sup>.

## დასკვნა

ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ გაფორმებული 84 250 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები არ იძლევა გასაწევი მომსახურების შინაარსის სრული იდენტიფიცირების საშუალებას, არ მოიცავს მისაწოდებელ საკონცერტო პროგრამას და მის ხანგრძლივობას.

<sup>15</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

<sup>16</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები

<sup>17</sup> CPV92300000

<sup>18</sup> CMR150004383; CMR150161579

<sup>19</sup> CMR150150703; CMR150150681; CMR150150705; CMR150150716; CMR150153118; CMR150154536; CMR150158006; CMR150160337;

## რეკომენდაცია

### ბათუმის კულტურის ცენტრს

სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფად, შესაბამისი ხელშეკრულებებში სრულად, სათანადოდ და აღქმად იქნეს წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტი, საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადა.

#### 4.1.6. კრიტერიუმი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა.

##### 4.1.6.1. გამოვლენილი გარემოება

„ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“ პროექტის ფარგლებში, ბათუმის კულტურის ცენტრსა და შპს „სოუნდ სითის“ შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება<sup>20</sup>, რომელიც ითვალისწინებდა ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე დაგეგმილ საკონცერტო ღონისძიებებზე სცენის მოწყობის მომსახურების მიწოდებას. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 118 000 ლარით. ხელშეკრულების თანახმად, განხორციელებულია 280 კვ.მ (20მX14მ) ფართობის სცენის, თავისი გადახურვით, სასცენო კონსტრუქციებით, დამცავი ბარიერებით, სადენების არხების და ალუმინის კონსტრუქციებით იჯარის მომსახურება. აღსანიშნავია, რომ შესაბამის პერიოდში, ბათუმის კულტურის ცენტრს ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნდა ა(ა)იპ „ბათუმის სცენის“ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი დიდი სცენა თავისი გადახურვით და სასცენო აქსესუარებით, რომელის ფართობი შეადგენს 384 კვ.მ-ს (24მ X16მ)<sup>21</sup>. კულტურის ცენტრის განმარტებით, აღნიშნულ სცენას დაზიანებული აქვს მნიშვნელოვანი ნაწილები, რომელიც დოკუმენტურად არ დგინდება.

## დასკვნა

არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ბათუმის კულტურის ცენტრს ჰქონდა შესაძლებლობა ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე დაგეგმილი საკონცერტო ღონისძიებების სცენის მომსახურების სრული თუ არა, მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც განეხორციელებინა საკუთარი რესურსებით და ამ გზით გაეწია ნაკლები საბიუჯეტო ხარჯი.

<sup>20</sup> ხელშეკრულება N110, 07/07/2015 წ.

<sup>21</sup> შპს აუდიტურ-საკონსულტაციო კორპორაცია „ინტერაუდიტის“ აუდიტორული დასკვნა 1/24, 24/06/2014 წ.

## რეკომენდაცია

### ბათუმის კულტურის ცენტრს

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე, შესყიდვის მიზანშეწონილობის განსაზღვრისას, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობა.

#### 4.1.6.2. გამოვლენილი გარემოება

„ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“ პროექტის ფარგლებში, ბათუმის კულტურის ცენტრსა და შპს „თბილისი ივენთ ჰოლს“ შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება<sup>22</sup>, რომელიც ითვალისწინებდა ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე 500 კვ.მ სცენის მოწყობა VIP ზონებისათვის გადახურვით, სალაროს ჯიხურის მოწყობას და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფას. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 70 000 ლარით, რომელიც, საბანკო გარანტიის საფუძველზე<sup>23</sup>, სრულად გადახდილია<sup>24</sup> წინასწარი ანგარიშსწორებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით<sup>25</sup>, ბათუმის კულტურის ცენტრი არ მონაწილეობდა VIP ზონის ადმინისტრირების პროცესში, მათ შორის, შესასასვლელი მოსაწვევების დაბეჭდვასა და გაცემაში. რაც შეეხება სალაროს ჯიხურს, „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“ პროექტის ფარგლებში, ბათუმის კულტურის ცენტრს ჰქონდა მხოლოდ ერთი ფასიანი წარმოდგენა<sup>26</sup>, ხოლო მასზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია ხორციელდებოდა ელექტრონულად, შპს „ონლაინ თიქეტსთან“<sup>27</sup> გაფორმებული ხელშეკრულების<sup>28</sup> საფუძველზე.

## დასკვნა

ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“ პროექტის ფარგლებში, შესყიდული იქნა ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე სცენის მოწყობის VIP ზონებისათვის გადახურვით, სალაროს ჯიხურის მოწყობისა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფის მომსახურება, რომლის შესყიდვის მიზანშეწონილობა არ არის საკმარისად დასაბუთებული.

## რეკომენდაცია

### ბათუმის კულტურის ცენტრს

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა განხორციელდეს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნის გათვალისწინებით.

<sup>22</sup> ხელშეკრულება N106, 07/07/2015 წ.

<sup>23</sup> საბანკო გარანტია საავანსო გადახდაზე N2089518-8017110, 15/07/2015 წ.

<sup>24</sup> საგადახდო მოთხოვნა N03053, 30/07/2015 წ.

<sup>25</sup> ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ცნობა N300/01-05, 13/09/2016 წ.

<sup>26</sup> ჯგუფი „OKEAN ELZY“-ის კონცერტი

<sup>27</sup> tkt.ge

<sup>28</sup> მომსახურების ხელშეკრულება 27/07/2015 წ.

#### 4.1.6.3. გამოვლენილი გარემოება

„ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“ პროექტის ფარგლებში, ბათუმის კულტურის ცენტრსა და შპს „ონლაინ თიქეთს“ შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება<sup>29</sup>. ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელი ინტერნეტის გამოყენებით უზრუნველყოფდა ბათუმის კულტურის ცენტრის ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების/ აბონიმენტების ელექტრონულ რეალიზაციას. აღნიშნული გარიგება თავისი შინაარსით წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვას, თუმცა მისი გაფორმება განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაუცველად<sup>30</sup>.

ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა გაყიდული ბილეთების/ აბონიმენტების ღირებულების 20%-ის ოდენობით. აუდიტის ჯგუფის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მოძიებული იქნა შესაბამის პერიოდში ანალოგიური შინაარსის მომსახურებაზე გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები. ხელშეკრულებათა<sup>31</sup> ფასის ანალიზით ირკვევა, რომ არცერთ შემთხვევაში მომსახურების ღირებულება არ აღემატება გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხის 8%-ს.

მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის<sup>32</sup> თანახმად, რეალიზებული ელექტრონული ბილეთების საერთო ღირებულებამ შეადგინა 63 750 ლარი. შესაბამისად, შპს „ონლაინ თიქეთსის“ მომსახურების ღირებულებამ (საკომისიომ) შეადგინა 12 750 ლარი.

#### დასკვნა

ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, ბილეთების ელექტრონული გაყიდვის მომსახურების შესყიდვაზე, მომსახურების ბაზარზე არსებული ფასების გაუთვალისწინებლად, გადახდილია შესაძლო ღირებულებაზე არანაკლებ 7 650 ლარით მეტი.

#### რეკომენდაცია

##### *ბათუმის კულტურის ცენტრს*

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვითა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნის გათვალისწინებით.

<sup>29</sup> იგივე

<sup>30</sup> დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტი; მე-9 მუხლის პირველი პუნქტი

<sup>31</sup> ხელშეკრულება N89/1, 01/03/2015 წ. (მიმწოდებელი - შპს „ელ. ბილეთები“); ხელშეკრულება N020715/2, 02/07/2015 წ. (მიმწოდებელი - შპს „ელ. ბილეთები“); ხელშეკრულება N330204/18, 21/08/2015 წ. (მიმწოდებელი - შპს „ონლაინ თიქეთსი“)

<sup>32</sup> მიღება-ჩაბარების აქტი 11/08/2015 წ.

## 4.2. ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები

### 4.2.2. კრიტერიუმი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საქმიანობის განხორციელებისას კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/ სანქციები/ საურავები და სხვა შემოსულობები მიიმართება შესაბამის ბიუჯეტში.

### გამოვლენილი გარემოება

„ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „ბათუმობა 2015“-ის ღონისძიებების ორგანიზების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, ბათუმის კულტურის ცენტრმა, ელექტრონული ტენდერის საშუალებით<sup>33</sup>, ხელშეკრულება<sup>34</sup> გააფორმა შპს „CALLIGRAFHY“-სთან. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 64 999 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მომწოდებელმა ხელშეკრულება შეასრულა არაჯეროვნად, კერძოდ, ნაცვლად 64 999 ლარის მომსახურებისა, მიმწოდებლის მიერ გაწეული იქნა 61 099 ლარის მომსახურება, რის გამოც დაეკისრა 6 499 ლარის ოდენობის ჯარიმა<sup>35</sup>. ბათუმის კულტურის ცენტრმა დაკისრებული ჯარიმის თანხის ოდენობა - 6 499 ლარი, შპს „CALLIGRAFHY“-ს<sup>36</sup> გამოუქვითა ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებიდან და აღნიშნული თანხა არ მიმართა შესაბამის ბიუჯეტში.

### დასკვნა

ბათუმის კულტურის ცენტრმა, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გაუთვალისწინებლად, დაკისრებული ჯარიმის თანხის ოდენობა - 6 499 ლარი, არ მიმართა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

### რეკომენდაცია

#### ბათუმის კულტურის ცენტრს

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში საქმიანობის განხორციელებისას კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/ სანქციები/ საურავები და სხვა შემოსულობები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიმართული შესაბამის ბიუჯეტში.

<sup>33</sup> SPA150023238

<sup>34</sup> ხელშეკრულება N165, 04/09/2015 წ.

<sup>35</sup> ხელშეკრულების 6.3 პუნქტის საფუძველზე

<sup>36</sup> მიმწოდებლის თანხმობით

### 4.2.3. კრიტერიუმი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის<sup>37</sup> თანახმად, გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, ხოლო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის<sup>38</sup> შესაბამისად, პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ბიუჯეტში მისამართი შემოსულობების სრულად და დროულად მობილიზება, ასევე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ყველა შემოსულობა დაუყოვნებლივ უნდა მიიმართოს შესაბამის ბიუჯეტში.

### გამოვლენილი გარემოება

2015 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ ბიუჯეტში არ არის გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი 1800 ლარის ოდენობით. ამასთან, თავდაპირველად ჯამში 9000 ლარი<sup>39</sup> სრულად არის გადარიცხული ფიზიკურ პირებზე, ხოლო წლის ბოლოს უკან დაბრუნებულია 1800 ლარი<sup>40</sup> ბათუმის კულტურის ცენტრის საკუთარი შემოსავლების ანგარიშზე ისე, რომ ბიუჯეტთან საშემოსავლო გადასახადის გადახდის კუთხით ანგარიშსწორება არ განხორციელებულა.

### დასკვნა

ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ ბიუჯეტში არ არის გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი 1800 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის კუთვნილი შემოსულობა ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ აღირიცხა, როგორც საკუთარი შემოსავლები.

### რეკომენდაცია

#### ბათუმის კულტურის ცენტრს

ბათუმის კულტურის ცენტრმა უზრუნველყოს საშემოსავლო გადასახადის ნაწილში ბიუჯეტის წინაშე 1 800 ლარის ოდენობის საბიუჯეტო ვალდებულების აღიარება და დავალიანების დროული დაფარვა.

<sup>37</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი პუნქტი

<sup>38</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები

<sup>39</sup> 100%

<sup>40</sup> გადახდილი თანხის 20%

### 4.3. საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი კრიტერიუმი

სახელმწიფო შესყიდვის ერთერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

#### გამოვლენილი გარემოება

მუნიციპალიტეტის მერიამ საავტორო კინოს ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 15 ივნისს, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი<sup>41</sup>. ტენდერის ტექნიკური პირობებით, პრეტენდენტმა სხვა მოთხოვნებთან ერთად უნდა უზრუნველყოს ფილმების შერჩევა საკონკურსო და არასაკონკურსო სექციისთვის, ფესტივალის პროგრამაში 45-მდე სრულმეტრაჟიანი და 40-მდე მოკლემეტრაჟიანი ფილმის (2014-2015 წლების ნამუშვრები) წარმოდგენა, ფესტივალის მიმდინარეობის მედია სივრცეში გაშუქება, ფესტივალის საინფორმაციო სარეკლამო კომპანიის წარმოება - ტელევიზია, რადიო, პრესა, სოციალური მედია და ა.შ. ტენდერში ერთი მონაწილის პირობებში გაიმარჯვა ა(ა)იპ „ბათუმის ხელოვანთა სახლი - არგანი“. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის ვებ-გვერდზე<sup>42</sup>, 2015 წლის 10 იანვარს, გამოქვეყნდა განცხადება<sup>43</sup>, რომლის თანახმად კინოფესტივალმა დაიწყო ფილმების მიღება 2015 წლის პროგრამისთვის, ხოლო 2015 წლის 22 მაისს გამოქვეყნებული განცხადებით<sup>44</sup>, კინოფესტივალი BIAFF 2015 აცხადებს კონკურსს ბლოგერებისთვის.

#### დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზებაზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ვერ იქნება განხილული ისეთ აქტივობად, რომელიც მიმართულია მომსახურების გაწევის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისათვის.

#### რეკომენდაცია

##### მუნიციპალიტეტის მერიას

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებებით განხორციელების დროს, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, ისე იქნას განსაზღვრული სატენდერო პირობები, რაც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა პრეტენდენტისთვის.

<sup>41</sup> SPA150016904

<sup>42</sup> ვებ-გვერდის ინფორმაციით, კინოფესტივალის დამფუძნებელი და ორგანიზატორია ა(ა)იპ „ბათუმის ხელოვანთა სახლი - არგანი“

<sup>43</sup> <http://biaff.org/ge/news>, 06/07/2016 წ. 16:17

<sup>44</sup> <http://biaff.org/ge/news>, 06/07/2016 წ. 16:18

#### 4.4. მუნიციპალიტეტის ქონების მართვა

##### კრიტერიუმი

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის N59 განკარგულების<sup>45</sup> თანახმად, ა(ა)იპ „ბათუმის სცენის“ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი, 2 445 554.1 ლარის ნარჩენი ღირებულების, მოძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცემოდა კულტურის ცენტრს. ქონების გადაცემაზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რაც უზრუნველყოფს ფაქტობრივად გადაცემული ქონების მდგომარეობისა და ღირებულების დადასტურებას.

##### გამოვლენილი გარემოება

წარმოდგენილი მასალებით, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის N59 განკარგულების გამოცემიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ისე რომ არ მომხდარა განკარგულებით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის<sup>46</sup> გაფორმება, მუნიციპალიტეტის მხრიდან, ქონების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირი - ა(ა)იპ „ბათუმის სცენის“ დირექტორი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან<sup>47</sup>, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ, მიუხედავად ბათუმის კულტურის ცენტრის რამდენიმე მოთხოვნისა<sup>48</sup>, არ მომხდარა ახალი უფლებამოსილი პირის განსაზღვრა. ზემოაღნიშნული განკარგულების მოთხოვნის გათვალისწინებლად, მუნიციპალიტეტის მერის წერილით<sup>49</sup> ეცნობა ბათუმის კულტურის ცენტრს, რომ „იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული განკარგულებით საკუთრებაში გადაცემული ქონება ფაქტობრივად იმყოფება ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ მფლობელობაში, ამ ქონების ბალანსზე აყვანა შესაძლებელია კულტურის ცენტრის მიერ შესაბამისი აქტის (ცალმხრივი) გამოცემის გზით“. ბათუმის კულტურის ცენტრის 2016 წლის 25 მარტის ბრძანებით<sup>50</sup>, 2 445 554.1 ლარის ნარჩენი ღირებულების მოძრავი ქონებიდან, ბათუმის კულტურის ცენტრის საკუთრებაში აღირიცხა მხოლოდ 1 564 869.85 ლარის ნარჩენი ღირებულების მოძრავი ქონება. ბრძანებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ „ქონება, რომელიც ფაქტობრივად არ არსებობდა (დანართი N3, N6, N8) და ქონება, რომელიც არ იყო შეტანილი წარმოდგენილ მონაცემებში და პრაქტიკულად არსებობდა (დანართი N4, N7) საჭიროებდა დამატებით შესწავლას და თანამდევ

<sup>45</sup> თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის განკარგულება N59 „თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის სცენას“ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის კულტურის ცენტრის“ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“

<sup>46</sup> განკარგულების მე-2 პუნქტი

<sup>47</sup> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N175, 10/03/2015 წ.

<sup>48</sup> ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ წერილები Nდ20-41, 04/08/2015 წ.; Nდ20-65, 01/10/2015 წ.

<sup>49</sup> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წერილი N18933-25, 08/10/2015 წ.

<sup>50</sup> ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ბრძანება N30/01-03, 25/03/2016 წ.

ღონისძიებათა განხორციელებას“. ბათუმის კულტურის ცენტრის 2016 წლის 28 აპრილის წერილით<sup>51</sup>, ზემოაღნიშნულის თაობაზე ეცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას.

## დასკვნა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ არ შესრულებულა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის N59 განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტები, შედეგად არსებობს საჯარო ფინანსებით შექმნილი ქონების დაკარგვის, დაზიანების, გადამალვის ან/და შემცირების რისკები.

## რეკომენდაცია

### მუნიციპალიტეტის მერიას

უფლებამოსილების ფარგლებში, შემუშავებული იქნეს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების დაკარგვის, დაზიანების, გადამალვის ან/და შემცირების რისკების მინიმიზაციას.

### ბათუმის კულტურის ცენტრს

ქონება, რომელიც არ იყო შეტანილი წარმოდგენილ მონაცემებში, პრაქტიკულად არსებობს და იმყოფება ბათუმის კულტურის ცენტრის ფაქტობრივ მფლობელობაში, აღრიცხული იქნეს ბათუმის კულტურის ცენტრის ბალანსზე.

## 5. შმაჯამებული დასკვნა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის პროგრამის „კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ,

### „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“-ის პროექტის ფარგლებში,

- ბათუმის კულტურის ცენტრსა და შპს „თბილისის ივენთ ჰოლს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულების პირობების გაუთვალისწინებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად არის გადახდილი 29 177 ლარი;
- ბათუმის ჩოგბურთის კორტების ტერიტორიაზე, ღონისძიებების ჩატარების დროს, დაცვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არამიზნობრივად არის გაწეული 19 200 ლარის ხარჯი;
- ბათუმის კულტურის ცენტრის დროებით სარგებლობაში მყოფ, ბათუმის კორტების ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ღია ბარები (კაფეები) და

<sup>51</sup> ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ წერილი N126/01-05, 28/04/2016 წ.

- განთავსებული იყო სარეკლამო ხასიათის ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული საქმიანობით ბათუმის კულტურის ცენტრს შემოსავლები არ მიუღია;
- ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, „ბათუმი ჰიტ სეზონი 2015“ პროექტის ფარგლებში, შესყიდული იქნა ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე სცენის მოწყობის VIP ზონებისათვის გადახურვით, სალაროს ჯიხურის მოწყობისა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფის მომსახურება, რომლის შესყიდვის მიზანშეწონილობა არ არის საკმარისად დასაბუთებული;
  - ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, ბაზრის კვლევის გარეშე, გაფორმებულია 2 641 321 ლარის ღირებულების 55 ერთეული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება;
  - ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ გაფორმებული 84 250 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები არ იძლევა გასაწევი მომსახურების შინაარსის სრული იდენტიფიცირების საშუალებას, არ მოიცავს მისაწოდებელ საკონცერტო პროგრამას და მის ხანგრძლივობას;
  - ბათუმის კულტურის ცენტრს ჰქონდა შესაძლებლობა ბათუმის ჩოგბურთის კლუბის ტერიტორიაზე დაგეგმილი საკონცერტო ღონისძიებების სცენის მომსახურების სრული თუ არა, მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც განეხორცილებინა საკუთარი რესურსებით და ამ გზით გაეწია ნაკლები საბიუჯეტო ხარჯი;
  - ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, ბილეთების ელექტრონული გაყიდვის მომსახურების შესყიდვაზე, მომსახურების ბაზარზე არსებული ფასების გაუთვალისწინებლად, გადახდილია შესაძლო ღირებულებაზე არანაკლებ 7 650 ლარით მეტი.

### **სხვა დარღვევა-ნაკლოვანებები**

- ბათუმის კულტურის ცენტრმა, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გაუთვალისწინებლად, დაკისრებული ჯარიმის თანხის ოდენობა - 6 499 ლარი, არ მიმართა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;
- ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ ბიუჯეტში არ არის გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი 1800 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის კუთვნილი შემოსულობა ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ აღირიცხა, როგორც საკუთარი შემოსავლები;
- მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზებაზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ვერ იქნება განხილული ისეთ აქტივობად, რომელიც მიმართულია მომსახურების გაწევის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისათვის;
- თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის N59 განკარგულების შეუსრულებლობის გამო, არსებობს საჯარო ფინანსებით

შექმნილი ქონების დაკარგვის, დაზიანების, გადამალვის ან/და შემცირების რისკები.

## 6. რეკომენდაცია

### ბათუმის კულტურის ცენტრს

- ბათუმის კულტურის ცენტრმა უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებების განხორციელება ზედმეტად გადახდილი 29 177 ლარის ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებისათვის;
- უზრუნველყოფილი იქნეს ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ხარჯვა მხოლოდ ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების მიზნებისთვის;
- დამატებითი შემოსავლების მიღების უზრუნველსაყოფად, ბათუმის კულტურის ცენტრმა გაატაროს ყველა კანონით ნებადართული, ორგანიზაციის მიზნების შესაბამისი აქტივობა;
- სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე, შესყიდვის მიზანშეწონილობის განსაზღვრისას, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობა;
- სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა განხორციელდეს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნის გათვალისწინებით;
- შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები;
- სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფად, შესაბამისი ხელშეკრულებებში სრულად, სათანადოდ და აღქმადად იქნეს წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტი, საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადა;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში საქმიანობის განხორციელებისას კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/ სანქციები/ საურავები და სხვა შემოსულობები დაუყოვნებლივ მიიმართოს შესაბამის ბიუჯეტში;
- ბათუმის კულტურის ცენტრმა უზრუნველყოს საშემოსავლო გადასახადის ნაწილში ბიუჯეტის წინაშე 1 800 ლარის ოდენობის საბიუჯეტო ვალდებულების აღიარება და დავალიანების დროული დაფარვა;
- ქონება, რომელიც არ იყო შეტანილი წარმოდგენილ მონაცემებში, პრაქტიკულად არსებობს და იმყოფება ბათუმის კულტურის ცენტრის ფაქტობრივ მფლობელობაში, აღრიცხული იქნეს ბათუმის კულტურის ცენტრის ბალანსზე.

### მუნიციპალიტეტის მერიას

- სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებებით განხორციელების დროს, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, ისე იქნას განსაზღვრული სატენდერო პირობები, რაც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა პრეტენდენტისთვის;
- უფლებამოსილების ფარგლებში, შემუშავებული იქნეს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების დაკარგვის, დაზიანების, გადამალვის ან/და შემცირების რისკების მინიმიზაციას.

### აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

გურანდა გვაზავა

/აუდიტორი/

ზვიად ვარშალომიძე

/აუდიტორი/

მიხეილ დიასამიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/

20 ოქტომბერი 2016 წ.